

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 08 02

პროგრამის დასახელება:

მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საჯარო ხმის მიცემის საფუძველზე გამოვლენილი საპროექტო განაცხადი, რომელმაც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვა ყველაზე მეტი ხმა დაფინანსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტის დაფინანსება	2 400 000	500 000	600 000	600 000	700 000
სულ პროგრამა	2 400 000	500 000	600 000	600 000	700 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

დამატებითი ინფორმაცია

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტების გამოვლენა/შერჩევის პროცედურები ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული ბრძანებით და ელექტრონული პლატფორმის (www.idea.batumi.ge) საშუალებით

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გაზრდილია მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	-	-	-	-	-	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	განსახილველად წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა	-	-	-	-	-	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი